



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის ვლადიმერ ბოგდანოვისა და იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2022 წლის 30 ნოემბრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N17);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

დებულებაში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

| ცვლილებათა შეტანის, განახლების საფუძველი | დამტკიცების თარიღი | შეცვლილი პუნქტები (გვერდები) | პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა |
|---|--------------------|---|--------------------------------|
| 2024 წლის 21 მარტის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი № 03; ცვლილებების ცირკულარული წერილი № 1 | 21.03.2024 | დებულების (ნდN2-010129) 7.5 პუნქტში განისაზღვრა 3 წელიწადში ერთხელ, საწვრთნელი პროგრამის რე-აღივებისთვის გადახედვის დროს განხორციელდეს სავარჯიშოების გადახედვა, ასევე საწვრთნელი კურსის პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროსაც გადაიხედოს სავარჯიშოები. | ვლადიმერ ბოგდანოვი |
| 2023 წლის 07 ივლისს დამტკიცებული „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ 2023 წლის 19 ივნისს ჩატარებული გეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოების, შენიშვნების და რეკომენდაციების მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმის“ მე-9 პუნქტის (სააგენტოს ანგარიშის მე-7 პუნქტი) რეკომენდაცია | 18.07.2023 | მე-9 მუხლში გაწერილია დაზუსტებით, რომ ინსტრუქტორები/შემფასებლები უნდა აკმაყოფილებდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის N05 ბრძანებით დადგენილ ინსტრუქტორების/შემფასებლების დამატებით მოთხოვნებს | ვლადიმერ ბოგდანოვი |
| 2022 წლის 30 ნოემბრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N17; 2022 წლის 30 ივნისს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ჩატარებული გეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოების, შენიშვნების და რეკომენდაციების მაკორექტირებელი (გაუმჯობესების) ღონისძიებების გეგმის მე-12 პუნქტი, საზღვაო სააგენტოს N5 ანგარიშის მე-10 პუნქტის რეკომენდაცია | 30.11.2022 | დებულება სრულიად განახლდა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქცია, დებულებაში გაერთინდა ნდ 2-0201-12-ში განსაზღვრული საკონტროლო, გამოხი და საცდელი დანადგარების მართვის პრცესები, შესაბამისად გაუქმდა ნდ 2-0201-12. დებულების განახლებისას გათვალისწინებული იყო საზღვაო სააგენტოს 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის N5 ანგარიშის შეუსაბამოები და რეკომენდაცია. განახლებულ დებულებაში ასახულია ინვენტარის შემოწმებაზე რომელი სტრუქტურული ერთეული და/ ან პირია პასუხისმგებელი და დევექტისა თუ პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში როგორია პრევენციული ღონისძიებების პროცესი | ვლადიმერ ბოგდანოვი |
| 2022 წლის 14 თებერვლის ცვლილებათა ცირკულარული წერილი N05; 2022 წლის 14 თებერვლის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N02 | 14.02.2022 | მსმენელთა სწრებადობა ფიქსირდება მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულში, თუ მსმენელი არ ესწრება ლექციას და ამას ინსტრუქტორი ასახვას მოდულში, მოდული ავტომატურად ბლოკავს მსმენელის გამოცდაზე გასვლას. აქედან გამომდინარე კონვენციური კურსებისთვის არაა სავალდებულო მყარი ჟურნალების წარმოება, ხოლო არაკონვენციური საწვრთნელი კურსებისთვის ვაწარმოებტ მყარ ჟურნალებს. ამოღებულ იქნას წარმოებიდან კონვენციური საწვრთნელი კურსებისთვის ჟურნალების მყარი ვერსია. ეს და სხვა ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულის წარმოებით ასახულია ნდ 2-010129 წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში, მათ შორის კონვენციური კურსების გამოცდების ელექტრონულად ჩატარების სისტემა. 2021 წლის 14 თებერვლით დამტკიცდა ნდ 2-010129 „წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სასწავლო პროცესის მართვის დებულება“ ვერსია N3. | ვლადიმერ ბოგდანოვი |



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება**

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

შინაარსი

| | |
|---|----|
| 1. გავრცელების სფერო | 5 |
| 2. ნორმატიული მითითებები..... | 5 |
| 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები..... | 6 |
| 4. ზოგადი დებულება | 8 |
| 5. მსმენელების და საწვრთნელი კურსების იდენტიფიკაცია | 8 |
| 6. საწვრთნელი კურსის პროგრამის შემუშავების წესი | 10 |
| 7. სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსების სავარჯიშოების ვალიდაციისა და პერიოდული გადახედვის პროცესი | 11 |
| 8. კურსებზე მსმენელების დაშვები წინაპირობა | 12 |
| 9. მოთხოვნები ინსტრუქტორის, ზედამხედველის და სემფასებლის მიმართ | 16 |
| 10. საწვრთნელი საშუალებები | 16 |
| 11. საწვრთნელი საშუალებების, საკონტროლო, გამზომი და საცდელი დანადგარების მართვის პროცესი | 17 |
| 12. შემოწმება, კონტროლი..... | 20 |
| 13. რესურსები..... | 20 |
| 14. პასუხისმგებლობათა განაწილება..... | 20 |
| 15. ანგარიშგებითი დოკუმენტები..... | 20 |
| დანართი 1 ბუსსს ანრიში არსებული ტრენაჟორული, სტენდური და კომპიუტერული დანადგარების შემოწმება და ტექნიკური მომსახურების გეგმა-გრაფიკის ნიმუში..... | 22 |
| დანართი 2 მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში საწვრთნელი დანადგარის, აღჭურვილობის საწვრთნელი საშუალების პერიოდული შემოწმების გეგმა-გრაფიკის ნიმუში | 23 |
| დანართი 3 ბუსსს ანრიში არსებული კომპიუტერული სასწავლო პროგრამების და საგამოცდო ტესტების შემოწმების გეგმა-გრაფიკის ნიმუში..... | 24 |
| დანართი 4 სასწავლო გემი „კაპიტანი ო.ჩახვამე“-ის მექანიზმებისა და დანადგარების შემოწმების გეგმა გრაფიკის ნიმუში | 25 |
| დანართი 5 ტრენაჟორის გამოყენების აღრიცხვის ჟურნალის ნიმუში | 26 |
| დანართი 6 ტრენაჟორული დანადგარების გამოყენების წინ შემოწმების ჟურნალის ნიმუში..... | 27 |
| დანართი 7 ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჟურნალის ნიმუში..... | 28 |
| დანართი 8 საკონტროლო გამზომი დანადგარების შემოწმებისა და კალიბრირების გეგმა-გრაფიკი... | 29 |
| დანართი 9 გაზის ანალიზატორების დაკალიბრებისთვის სახარჯო მასალის აღრიცხვის ჟურნალის ნიმუში | 30 |
| დანართი 10 ბუსსს ანრის ძირითადი საშუალებების (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის) აღრიცხვის, იდენტიფიცირების და პერიოდული მონიტორინგის ჟურნალის ნიმუში | 31 |
| დანართი 11 სახარჯი მასალის (გახარჯული მასალების) აღრიცხვის ჟურნალის ნიმუში | 32 |
| დანართი 12 სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის (ან პერიოდული შემოწმების) აქტის ფორმა | 33 |
| დანართი 13 სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის (ან პერიოდული შემოწმების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმა..... | 34 |
| 16. პერიოდული შემოწმების ფურცელი..... | 35 |
| 17. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი..... | 36 |
| 18. შეთანხმების ფურცელი..... | 37 |



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულებაში განსაზღვრულია მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის წესები;
- 2) დებულება ვრცელდება ბუსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საშტატო თანამშრომლებზე და მოწვეულ ინსტრუქტორებზე, დამკვირვებლებზე და შემფასებლებზე;
- 3) დებულების აღრიცხული ორიგინალი ვერსია ინახება ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში, როგორც ბეჭდური, ასევე ელ.ვერსია გასაჯაროებულია სასწავლებლის ვებგვერდზე და ბუსს ანრის ბშიდა ქსელში;
- 4) საჭიროებისამებრ, წინამდებარე დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადებას და დაგზავნას ახდენს ბუსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

არსებული დებულების შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 4) „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენცია, ცვლილებებითა და დამატებებით (STCW);
- 5) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №05 „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- 6) ნდ №2-010101 „ბუსს ანრის წესდება“;
- 7) ნდ N2-020101 „ბუსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო“;
- 8) ნდ 2-0201-01 „დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა“.



3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე წინაპირობაში და მოთხოვნებში გამოიყენება იმ ნორმატიული დოკუმენტების ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები, რომელთა საფუძველზეც დამუშავდა ეს დოკუმენტი.

3.1 ტერმინები, განსაზღვრებები

- 1) **დოკუმენტის პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
- 2) **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)**, - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
- 3) **საწვრთნელი საშუალება** - საწვრთნელი კურსის განხორციელებისთვის საჭირო, სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი დანადგარები, აღჭურვილობა, მოწყობილობა, ინვენტარი;
- 4) **ინსტრუქტორი, ზედამხედველი, შემფასებელი** – პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია მეზღვაურთა კონკრეტული ტიპისა და დონის წვრთნისა და კომპეტენციის შეფასებისათვის კონვენციის I/6 რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
- 5) **შესაბამისად კვალიფიციური ინსტრუქტორი** – პირი, რომელსაც აქვს მართვის დონის კომპეტენცია და რომელიც ფლობს უმაღლესი განათლების დიპლომს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე პასუხისმგებელია მეზღვაურის წვრთნაზე, რომელიც დაკავშირებულია კონვენციის შესაბამისად სერტიფიცირებასთან. მას უნდა ჰქონდეს არანაკლებ 36 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი 3000 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის ან 3000 კვტ სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე გემზე, მათ შორის, 6 თვე მართვის დონეზე, რომელთაგან სულ მცირე 6 თვის სტაჟი უნდა ჰქონდეს ბოლო 10 წლის განმავლობაში, ან ბოლო 10 წლის განმავლობაში გავლილი აქვს სააგენტოს მიერ აღიარებული განახლების კურსები;
- 6) **კვალიფიკაციის სერტიფიკატი** – მეზღვაურზე გაცემული სერტიფიკატი, გარდა კომპეტენციის სერტიფიკატისა, რომლის თანახმად, დაკმაყოფილებულია წვრთნის, კომპეტენციის ან საზღვაო გამოცდების თაობაზე „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები;
- 7) **კონვენციური საწვრთნელი კურსი** - „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

ვახტის გაწევის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის, ცვლილებებითა და დამატებებით, მოთხოვნათა შესაბამისი საწვრთნელი კურსი;

- 8) არაკონვენციური საწვრთნელი კურსი - დამსაქმებელი და / ან გემთმფლობელი, საზღვაო ან / და სახმელეთო კომანიების მიერ მოთხოვნადი საწვრთნელი კურსი, გემის ან / და კომპანიის საქმიანობის ტიპის, ცურვის რაიონის თუ სხვა სპეციფიკიდან გამომდინარე;
- 9) მოდელ კურსი - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO)
- 10) მსმენელი - საწვრთნელ კურსზე ჩარიცხული დაშვებული პირი;
- 11) ჩეკლისტი - პრაქტიკული ცოდნის შეფასების ფურცელი;
- 12) ჰენდაუტი (TEXTBOOK / HANDOUT) - მსმენელთათვის შემუშავებული საწვრთნელი კურსის კრებული (კურსის მოკლე შინაარსი თითოეულ საკითხთან დაკავშირებით);
- 13) შეფასების ინსტრუმენტი - საგამოცდო ტესტი, ჩეკ-ლისტი, დავალება სიმულატორზე.

3.2 შემოკლებები

- 1) ბუსსს ანრი- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც სასწავლებელი);
- 2) ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- 3) STCW – „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენცია, ცვლილებებითა და დამატებებით;
- 4) საზღვაო სააგენტო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, რომელიც შექმნილია „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;
- 5) საწვრთნელი საშუალებები - კურსის სრულყოფილი განხორციელებისთვის სტანდარტებთან შესაბამისი ინვენტარი, აღჭურვილობა, დანადგარები, სიმულატორები, კომპიუტერული პროგრამები;
- 6) ელ.მოდული - საზღვაო სააგენტოს მიერ დანერგილი მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონული მოდული;
- 7) ცენტრი - ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი;
- 8) ხარისხის სამსახური - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

4. ზოგადი დებულება

- 1) წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ბუსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში საწვრთნელი პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, აღიარებისთვის წარდგენის, მსმენელების კურსებზე დაშვების, კურსების განხორციელების და მსმენელთა ცოდნის შეფასების, საწვრთნელი საშუალებების, საკონტროლო, გამზომი და საცდელი დანადგარების შემოწმების პროცესების მართვის წესებს;
- 2) ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულია როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური და მატერიალური რესურსები;
- 3) საწვრთნელი ცენტრი, ისევე როგორც კონვენციური საწვრთნელი კურსების პროგრამები უნდა იყოს აღიარებული საზღვაო სააგენტოს მიერ;
- 4) „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-V თავის 46-ე მუხლით დადგენილი წესით ახორციელებს საწვრთნელი ცენტრის და საწვრთნელი კურს(ებ)ის პერიოდულ მონიტორინგს ამ კანონით, კონვენციითა და STCW-ის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დასადგენად. საწვრთნელი ცენტრის მონიტორინგს სააგენტო ახორციელებს წელიწადში არანაკლებ ერთხელ;
- 5) მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი აღიარებას გადის 5 წელიწადში, ერთხელ, ხოლო კონვენციური საწვრთნელი პროგრამის აღიარების ვადა განისაზღვრება 2 წლით;
- 6) კურსების დაწყება, დამთავრება, მსვლელობას და გამოცდებს აკონტროლებს საზღვაო სააგენტო მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონული მოდულით, ელ.ტესტირებით და ვიდეო მონიტორინგით;
- 7) ცენტრის ფუნქციები განსაზღვრულია ნდ 2-010123 „მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის დებულება“-ში; წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტრუქცია განსაზღვრულია ბუსსს ანრის ფუნქციონალურ სტრუქტურაში (ნდ 2-010108) და ცალკეული თანამდებობისთვის შემუშავებულ ფუნქციონალურ მოვალეობებში (ფ/მ 2-010201/11; ფ/მ 2-010201/12) ინსტრუქტორების თანამდებობრივ ინსტრუქცია განსაზღვრულია ნდ 2-0401-05.

5. მსმენელების და საწვრთნელი კურსების იდენტიფიკაცია

- 1) ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში ფუნქციონირებს „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ საერთაშორისო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

კონვენციის, მოთხოვნათა შესაბამისად სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული მოქმედი და დამწყები მეზღვაურების მომზადების, გადამზადების, წვრთნის კონვენციური კურსები და საზღვაო დარგში მოღვაწე კომპანიების მოთხოვნათა საფუძველზე ხმელეთზე და / ან ზღვაში დასაქმებული პერსონალისთვის არაკონვენციური საწვრთნელი კურსები;

- 2) ცენტრში მოქმედი ყველა საწვრთნელი კურსის ჩამონათვალს ამტკიცებს გენერალური დირექტორი. ჩამონათვალში მითითებულია საწვრთნელი კურსების დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე, მოდელ კურსი, რომლის საფუძველზეცაა შემუშავებული საწვრთნელი კურსის პროგრამა, საწვრთნელი კურსის ხანგრძლივობა, რეგულაციები (თუ როემლი კონვენციის თუ სხვა რეგულაციის მოთხოვნას აკმაყოფილებს), კურსის სერტიფიკატის გამცემი ორგანო და კურსის ღირებულება;
- 3) როგორც კონვენციური, ასევე არაკონვენციური საწვრთნელი კურსის პროგრამა იდენტიფიცირებულია ხარისხის სამსახურის მიერ სპეციალური კოდის მინიჭებით. შემუშავებულ პროგრამას ენიჭება ნორმატიული დოკუმენტის (ნდ) ნომერი „ბუსსს ანრის დოკუმენტების (შიდა , გარე), მოქმედი ფორმების ფონდი, საქმეთა ნომენკლატურა“ (ნდ 2-010103) შესაბამისად. მინიჭებული ნომრის ბოლო ორი ციფრი შემდგომში აღნიშნავს საწვრთნელი კურსის კოდს, რომელიც დაიტანება საგამოცდო ოქმზე; მაგალითად: კურსის პროგრამას მიენიჭა ნდ N 2-0301-50, აქედან -50- აღნიშნება, როგორც კურსის კოდი და ოქმზე აღინიშნება: 5001, 5002 და ა.შ.
- 4) პროგრამის კოდი ასევე გამოიყენება ჰენდაუტების იდენტიფიცირებისას, მაგალითად პროგრამას მიენიჭა ნდ N 2-0301-50, ამ პროგრამის ჰენდაუტს ენიჭება ნდ N 2-0301-50-H.
- 5) იდენტიფიკაციური ნომერი ენიჭება მსმენელსაც; საწვრთნელ კურსზე დასაშვებად მსმენელი ავსებს ბუსსს ანრის მიერ შემუშავებული განცხადების ფორმას; შემოსული განცხადება რეგისტრირდება შემოსული კორესპონდენციის წიგნში, ხოლო მსმენელს ენიჭება უწყალური კოდი, მსმენელთა რეგისტრაციის წიგნში აღრიცხვის შედეგად; მსმენელისთვის ერთხელ მინიჭებული კოდი აღარ იცვლება;
- 6) ბუსსს ანრის მიერ არაკონვენციური კურსების სერტიფიკატების გაცემა რეგისტრირდება შესაბამის წიგნში, ენიჭება ნომერი 001/2022, 002/2022 და ა.შ., სადაც 001 აღნიშნავს სერტიფიკატის რიგით ნომერს, ხოლო 2022 მიმდინარე წელს.
- 7) დაშვებულია არაკონვენციური საწვრთნელი კურსის სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა იმ შემთხვევაში, როდესაც მსმენელი განცხადებით მიმართავს ბუსსს ანრის გენერალურ დირექტორს, სერტიფიკატის დაკარგვის ან დაზიანების შესახებ.
- 8) სერტიფიკატის დუბლიკატი განსხვავდება ორიგინალი სერტიფიკატისგან რეგისტრაციის ნომრით, მაგ. 001/2015-D, სადაც D აღნიშნავს დუბლიკატს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

6. საწვრთნელ კურსის პროგრამის შემუშავების წესი

- 1) კონვენციური კურსების მოსამზადებელი პროგრამების შემუშავება მიმდინარეობს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების საფუძველზე, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის, მოთხოვნათა შესაბამისად, და/ან გამონაკლის შემთხვევაში ზემდგომი/მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
- 2) საწვრთნელი კურსის პროგრამას შეიმუშავებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორ(ებ)ი, რომელიც საბოლოო ვერსიას უთანხმებს ხარისხის სამსახურს; ხარისხის სამსახურს მოჰყავს პროგრამა საზღვაო სააგენტოს მიერ დამტკიცებული კურსის (პროგრამის) შემუშავების სტანდარტებთან/მოთხოვნებთან შესაბამისობაში და ბუსსს ანრიში დანერგილი ნორმატიული დოკუმენტის ფორმასთან შესაბამისობაში (ნდ 2-0201-01). აღიარებისთვის სრულყოფილ პროგრამას ამტკიცებს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი;
- 3) გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კონვენციური საწვრთნელი კურსის პროგრამა წარედგინება აღიარების მოსაპოვებლად საზღვაო სააგენტოს „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-V თავის 45 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 4) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული საწვრთნელი კურსების სერტიფიკატებს გასცემს საზღვაო სააგენტო;
- 5) გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული არაკონვენციური კურს(ებ)ის პროგრამა არ წარედგინება აღიარებისთვის საზღვაო სააგენტოს; არაკონვენციური კურს(ებ)ის სერტიფიკატ(ებ)ს გასცემს ბუსსს ანრი;
- 6) პროგრამების პერიოდულ გადახედვას განახორციელებს შემუშავებული არა ნაკლებ 12 თვეში ერთხელ, რაც აღინიშნება პროგრამაში განკუთვნილ გვერდზე „პერიოდული შემოწმების ფურცელზე“;
- 7) ყოველ ორ წელიწადში პროგრამა უნდა წარედგინოს საზღვაო სააგენტოს ხელახალი აღიარებისათვის; ასეთ შემთხვევაში პროგრამის გადახედვას ახორციელებს შემუშავებული და ხარისხის სამსახური; თუ პროგრამა რჩება იგივე ვერსიით, უცვლელი, პროგრამის ქვემო კოლონტიტულში მარჯვნივ, დამტკიცების თარიღის ქვემოთ აღინიშნება გადახედვის თარიღი: Revision: 30.11.2022. თუ პროგრამაში შეტანილია ცვლილებები, რომელიც არ ცვლის პროგრამას შინაარსობრივად, გადახედვის ნაცვლად დამტკიცების თარიღის ქვემოთ აღინიშნება: ცვლილება: 30.11.2022, ხოლო თუ პროგრამაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორცაა კურსის სილაბუსი, განრიგი, ხანგრძლივობა, ქვემო კოლონტიტულში, მარცხნივ



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

შეიცვლება ვერსიის ნომერი და მარჯვნივ აღინიშნება ახალი ვერსიის დამტკიცების თარიღი.

7. სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსების სავარჯიშოების ვალიდაციისა და პერიოდული გადახედვის პროცესი

7.1 სიმულაციური ტრენინგის გაცნობიერება

სიმულაციური წვრთნა, ანუ, სიმულატორზე/ტრენაჟორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსი მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: ცოდნა, უნარი და დამოკიდებულება.

სიმულაციის ძირითადი ოპერატიული მახასიათებლები, რომლებიც გამოიყენება ტრენინგისა და შეფასებისთვის სიმულაციის გამოყენებისთვის, არის:

- ✓ რეალური საოპერაციო სცენის წარმოდგენა
- ✓ შემთხვევის ადგილის კონტროლის უზრუნველყოფა
- ✓ ოპერატიული სცენის ზოგიერთი ნაწილის გაანგარიშებული გამორიცხვა
- ✓ სცენის ჩაწერისა და დაკვირვის უზრუნველყოფა შეფასებისა და დებრიფინგისთვის

სიმულატორი არის ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარების ან დამოკიდებულების გადაცემას.

სიმულატორები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

- 1) ინფორმაციის შეძლებისდაგვარად რეალისტურად წარმოჩენა და ინფორმაციის დამახსოვრება, დამუშავება და გადმოცემა;
- 2) სასწავლო/საწვრთნელი მომენტ(ებ)ის გაძლიერება;
- 3) მსმენელის პრაქტიკულ დავალებებში ჩართულობა;
- 4) პრაქტიკული წვრთნის დროს სიტუაციის აღქმა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- 5) დამოკიდებლად მოქმედების უნარი და ცოდნა.

7.3 სიმულატორებს აქვთ შვიდი მახასიათებელი:

- 1) მონაცემთა შენახვა და დამუშავება
- 2) სინთეზური კონტროლი
- 3) ინტელექტუალურ და ფსიქომოტორულ დონეზე სწავლის შენარჩუნება
- 4) სწორი პასუხების პოვნა
- 5) დინამიური პასუხის პოვნა რეალისტურთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციებში
- 6) ინსტრუქტორის მიერ სისტემის კონტროლი
- 7) ჯგუფური და/ან ინდივიდუალური მუშაობა/წვრთნა

7.4 სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაცია



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 1) სასწავლო პროგრამას შეიძლება წარმოადგენდეს დავალებების სერია და/ან ინდივიდუალური დავალება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები სწავლასა და წვრთნასთან დაკავშირებით. სწავლის/წვრთნის მიზანი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს წვრთნის შედეგებს და შეესაბამებოდეს კომპეტენციების მოთხოვნებს.
- 2) სიმულატორის სავარჯიშოებს უნდა ჩაუტარდეს ვალიდაცია:
 - ✓ სიმულატორის განახლების დროს, წვრთნების და შეფასების დაწყებამდე;
 - ✓ სიმულატორის სავარჯიშო(ები)ს განახლების შემთხვევაში;
 - ✓ სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსის პროგრამაში თემატური/შინაარსობრივი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში;
- 3) ვალიდაციას ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს გენერალური დირექტორი, აუცილებელ პირობას წარმოადგენს კომისიის შემადგენლობაში მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის და საწვრთნელი კურს(ებ)ის ინსტრუქტორ(ებ)ის ჩართულობა.
- 4) გენერალური დირექტორის ბრძანებით დგინდება ვალიდაციის პერიოდი.
- 5) ვალიდაციის ჩატარების მტკიცებულებას წარმოადგენს სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის აქტ(ებ)ი და სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის და პერიოდული გადახედვის აღრიცხვის ჟურნალი (იხ. დანართი 12: სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის აქტის ფორმა და დანართი 13: სიმულატორის სავარჯიშოების ვალიდაციის და პერიოდული გადახედვის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა).

7.5 სიმულატორის სავარჯიშოების გადახედვა

სიმულატორის სავარჯიშოების პერიოდულ გადახედვას და განახლებას ახორციელებს საწვრთნელი კურს(ებ)ის ინსტრუქტორ(ებ)ი, წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსთან ერთად, 3 წელიწადში ერთხელ, საწვრთნელი პროგრამის რე-აღიარებისთვის წარდგენის პროცესში გადახედვის დროს და საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად: სიმულატორის განახლება, პროგრამის განახლება, ცვლილებები ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებში, ცვლილებები IMO მოდელის კურსებში და სხვ).

8. საწვრთნელ კურსებზე მსმენელების დაშვების წინაპირობა

- 1) მეზღვაურს, რომელიც ასრულებს STCW-ის კოდექსის A-II/1, A-II/2, A-II/3, A-II/4, A-II/5, A-III/1, A-III/2, A-III/3, A-III/4, A-III/5, A-III/6, A-III/7 ან A-IV/2 ნაწილით განსაზღვრულ ან სხვა ფუნქციას, უნდა ჰქონდეს კომპეტენციის/კვალიფიკაციის სერტიფიკატი.
- 2) „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწვევის შესახებ“ საერთაშორისო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

კონვენციის, მოთხოვნათა შესაბამისად მეზღვაურს ნაოსნობისთვის ესაჭიროება ხუთ წელიწადში ერთხელ საწვრთნელი კურსების გავლა კვალიფიკაციის / კომპეტენციის ასამაღლებლად, ან / და (დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე) დასადასტურებლად, რომ მან შეინარჩუნა STCW-ის კოდექსით განსაზღვრული კომპეტენციის სტანდარტი;

- 3) საწვრთნელ კურს(ებ)ზე მსმენელ(ებ)ის დაშვების წინაპირობა და მოთხოვნები განსაზღვრულია ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში;
- 4) ცენტრში მოქმედ საწვრთნელ კურსებზე მსმენელის ჩარიცხვა / დაშვება (კურსის ჯგუფის შედგენა) მიმდინარეობს განცხადების (განცხადების ფორმა შემუშავებულია ბუსსს ანრის მიერ) საფუძველზე;
- 5) მსმენელის განაცხადება რეგისტრირდება შემოსული კორესპონდენციის შესაბამის ჟურნალში ცენტრის საქმისმწარმოებლის მიერ;
- 6) მსმენელს ენიჭება ციფრული კოდი (საიდენტიფიკაციო ნომერი), რომელიც აღარ იცვლება მსმენელისგან შემდგომი განაცხადის მიღებისას, მაგალითად სერტიფიკატების განახლების დროს, ხუთი წლის შემდეგ;
- 7) განცხადებასთან ერთად მსმენელი ვალდებულია წარმოადგინოს კურსზე დასაშვები საბუთები, რაც განსაზღვრულია ყოველი კურსის პროგრამაში;
- 8) მსმენელის განცხადების და წარმოდგენილი საბუთების ანალიზის საფუძველზე ცენტრის საქმისმწარმოებელი ადგენს კურს(ებ)ის ჯგუფ(ებ)ს;
- 9) საწვრთნელი კურს(ებ)ის ჩასატარებლად ცენტრი, გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე იწვევს საზღვაო სააგენტოს მიერ აღირებულ ინსტრუქტორ(ებ)ს, დამკვირვებლ(ებ)ს, შემფასებლ(ებ)ს;
- 10) გამოიცემა გენერალური დირექტორის ბრძანება საწვრთნელი კურსის დაწყების შესახებ, სადაც აღინიშნება კურსზე ჩარიცხული მსმენელების სია, მოწვეული ინსტრუქტორ(ებ)ს, დამკვირვებლ(ებ)ს, შემფასებლ(ებ)ს სია, კურსის დაწყების და დასრულების თარიღი;
- 11) ცენტრის საქმისმწარმოებელი კურსის დაწყებისა და დამთავრების შესახებ მონაცემებს, მსმენელთა და ინსტრუქტორთა სიებს ასახავს ელექტრონული მოდულში. საზღვაო სააგენტოს აქვს უფლება არ დაუშვას კურსის დაწყება თუ ატვირთული მონაცემები არ შეესაბამება მათ მიერ დადგენილ მოთხოვნებს. საჭიროებისამებრ ინფორმაცია კურსის დაწყებ-დამთავრების შესახებ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში იგზავნება წერილობითაც;
- 12) საწვრთნელ კურსზე მსმენელების დასაშვები რაოდენობა განისაზღვრება ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში;
- 13) ცენტრის საქმისმწარმოებელი წინასწარ აცნობებს მსმენელს კურსის დაწყების და დასრულების შესახებ;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 14) ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში განსაზღვრულია კურსზე მსმენელთა ჩარიცხვის მოთხოვნები და მსმენელთა დასაშვები რაოდენობა;
- 15) კურსის დაწყებამდე ინსტრუქტორი აცნობს მსმენელს კურსს, აცნობებს, რომ საზღვაო სააგენტოს მხრიდან მიმდინარეობს კურსის მსვლელობის ონლაინ ვიდეო მონიტორინგი;
- 16) კურსის მსვლელობისას მსმენელისთვის ხელმისაწვდომია ინსტრუქტორის მიერ შემუშავებული ჰენდაუთი და ლიტერატურა, რომელიც ინახება ბუსსს ანრის ბიბლიოტეკაში;
- 17) კურსების დასრულების შემდეგ, მსმენელმა უნდა ჩააბაროს გამოცდა/ტესტირება ცოდნისა და კომპეტენტურობის დასადასტურებლად;
- 18) თეორიული გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროცედურის მიხედვით;
- 19) სიმულატორებზე დაფუძნებული საწვრთნელი კურს(ებ)ის (BTM, ETM, ECDIS, GMDSS, Cargo and Ballast Handling (Oil Tnk, Gas Tnk), ARPA-RADAR) გამოცდას მსმენელი აბარებს სიმულატორზე, ინსტრუქტორი გამოცდის შედეგებს აღნიშნავს კურსის ჩეკ-ლისტში;
- 20) პრაქტიკული დავალებების შესრულებაზე დაფუძნებული გამოცდა (ხანძართან ბრძოლის კურსები, პირადი გადარჩენის მეთოდები, კოლექტიური სამაშველო საშუალებებისა და სამაშველო კატარღების მართვა, გარდა სწრაფმავალი სამაშველო კატარღებისა და სწრაფმავალი კატარღების მართვა) ტარდება სათანადო გარემოში, შესაბამისი საწვრთნელი საშუალებების გამოყენებით, კურსისთვის შემუშავებული ჩეკ-ლისტის შესაბამისად;
- 21) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებას დართოს ნება გამოცდა ჩაატაროს რეალურ სივრცეში;
- 22) არაკონვენციური კურსების გამოცდა-ტესტირება ტარდება რეალურ სივრცეში, ტესტების მეშვეობით;
- 23) თეორიული და პრაქტიკული საგამოცდის ტესტები, ჩეკლისტები, სიმულატორული დავალებები შესაბამისობაშია საწვრთნელი კურსის პროგრამასთან;
- 24) შეფასების პირობები განსაზღვრულია ყოველი კურსის პროგრამაში;
- 25) არაკონვენციური საწვრთნელი კურსების საგამოცდო ტესტები და პასუხები ინახება წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსთან პაროლით დაცულ კომპიუტერში და გაიცემა ინსტრუქტორისთვის გამოცდის წინ;
- 26) გამოცდა ტარდება ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში დაშვებულია შედიოდეს არა მხოლოდ ბუსსს ანრის ინსტრუქტორები, არამედ მოწვეული დარგის



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- სპეციალის(ტებ)ი, რომლებსაც გააჩნია კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი კომპეტენცია/კვალიფიკაცია;
- 27) საწვრთნელი კურსების გამოცდის შედეგები ელ.მოდულში ასახული შედეგების გარდა, ფორმდება ბუსსს ანრის მიერ შემუშავებული საგამოცდო ოქმში;
 - 28) კონვენციურ კურსებზე მსმენელის დასწრება აღინიშნება ელექტრონულ მოდულში, ხოლო არაკონვენციური კურსების დასწრება ფიქსირდება სასწავლო ჟურნალში: მსმენელის დასწრება – „კი“, ხოლო არ გამოცხადება აღინიშნება – „არა“;
 - 29) გამოცდის/ტესტის წარმატებით ჩაბარების შედეგად საქმისმწარმოებელი მსმენელს გასცემს ელექტრონულ მოდულიდან ამონაწერს (მიმართვა), საზღვაო სააგენტოში წარსადგენად, სერტიფიკატის მისაღებად; მოდულიდან ამონაწერს (მიმართვა) რეგისტრირდება გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნში, ენიჭება გასული კორესპონდენციის ნომერი და ასლი ინახება მსმენელის პირად საქმეში;
 - 30) არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში მსმენელს აქვს გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება, საგამოცდო კომისიის წინაშე, შემდეგი სასწავლო ჯგუფის შემადგენლობაში;
 - 31) მსმენელს გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლებამოსილება, დამატებით აქვს არაუმეტეს ორჯერ. სამივეჯერ ჩაჭრის შემთხვევაში მსმენელი ხელმეორედ გაივლის კურსს;
 - 32) მსმენელს აქვს გამოცდის/ტესტის შედეგების გასაჩივრების უფლება; ის მიმართავს წერილობითი ფორმის საჩივრით გენერალურ დირექტორს; თუ მსმენელი აპროტესტებს ელ.მოდულით ჩაბარებული ტესტის შედეგებს, ბუსსს ანრი აცნობებს გაპროტესტების ფაქტის შესახებ საზღვაო სააგენტოს შესაბამისი სამსახურს და მიმდინარეობს საჩივრის ერთობლივი განხილვა და შესაბამისი რეაგირება; თუ მსმენელი აპროტესტებს პრაქტიკული წვრთნის ჩაბარების შედეგ(ებ)ს, გენერალური დირექტორის ბრზანებიტ იქმნება ექპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშ შედის კურსის შინაარსიდან გამომდინარე კვალიფიცირებული/კომპეტენტური სპეციალისტები (ინსტრუქტორი/დამკვირვებელი/შემფასებელი), მსმენელი ხელხლა აბარებს კურსის თეორიულ ნაწილს და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში მას ეძლევა საშუალება ხელახლა გადააბაროს პრაქტიკული ნაწილი. პრაქტიკული ნაწილის შესრულებამდე მსმენელი კიდევ ერთელ გადის ინსტრუქტაჟს კომისიის წევრებთან ერთად და მხოლოდ შემდეგ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას.
 - 33) არაკონვენციური კურსებზე ჩარიცხვა ხდება ზემოაღნიშნული პროცესით, გარდა საზღვაო სააგენტოს ინფორმირებისა კურსების დაწყება, დამთავრება, მსმენელების ჩარიცხვის შესახებ, რადგან არაკონვენციური კურსების დასრულების შემდეგ სერტიფიკატებს გასცემს ბუსსს ანრი;
 - 34) ბუსსს ანრის მიერ გაცემული სერტიფიკატები რეგისტრირდება შესაბამის წიგნში;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

35) მსმენელის მიერ განცხადებაში აღნიშნული ყველა საწვრთნელი კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელი, ნებაყოფლობით, ავსებს გაწეული მომსახურების შეფასების ფორმას (ბუსსს ანრის ხარისხის სამსახურის თხოვნით, მსმენელის კმაყოფილებისა დასაჭიროების კვლევის მიზნით). გამოკითხვა არის ანონიმური და მსმენელს არ ევალება სახელისა და გვარის აღნიშვნა. ანონიმურობის უზრუნველყოფის მიზნით კითხვარის შესავსები სივრცე მოწყობილია სარეგისტრაციო ცივრცისგან მოშორებით, სადაც განთავსებულია შევსებული შეფასების ფორმისთვის განკუთვნილი ყულაბა, რომელიც ჩაკეტილია ბოქლომზე, გასაღები ინახება ხარისხის სამსახურში.

9. მოთხოვნები ინსტრუქტორების, ზედამხედველებისა და შემფასებლების მიმართ

- 1) საწვრთნელი კურსის განმახორციელებლად ცენტრში მოიწვევიან საწვრთნელი კურსის შესაბამისი და კვალიფიკაციის მქონე საზღვაო დარგის სპეციალისტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის N05 ბრძანებით (ცვლილებებით) დადგენილ ინსტრუქტორების/შემფასებლების დამატებით მოთხოვნებს.
- 2) საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღიარებული საწვრთნელი კურსების (პროგრამების) ინსტრუქტორებისა და შემფასებლების მიმართ განსაზღვრულია ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში;
ეს მოთხოვნები განსაზღვრულია ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში „მოთხოვნები ინსტრუქტორების მიმართ“;
- 3) ინსტრუქტორი ვალდებულია შეიმუშაოს საწვრთნელი კურსის პროგრამა, განახორციელოს პროგრამის პერიოდული შემოწმება, შეიტანოს მასში საჭირო ცვლილებები და საწიროებისამებრ განაახლოს; შეუთანმოს ცვლილებები, განახლებები ცენტრის უფროსს და ხარისხის სამსახურს;
- 4) ინსტრუქტორი ვალდებულია შეიმუშაოს საწვრთნელი კურსის პრეზენტაცია და ჰენდაუთი.

10. საწვრთნელი საშუალებები

- 1) საწვრთნელი კურსების განსახორციელებლად ცენტრი უნდა იყოს შესაბამისად მოწყობილი, აღჭურვილი, უზრუნველყოფილი სტანდარტებთან შესაბამისი სიმულატორებით, საწვრთნელი გარემოთ;
- 2) კურსისთვის, რომელიც დაფუძნებულია თეორიულ სწავლებაზე უნდა იყოს მოწყობილი საკლასო აუდიტორია, მერხებით, სკამებით, დაფით, ვიდეო და აუდიო მასალების გამოსაყენებლად შესაბამისი ტექნიკით, თვალსაჩინო პოსტერებით და სხვა კურსის შინაარსის ამსახველი ინვენტარით;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 3) სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსისთვის, ცენტრი უნდა იყოს აღჭურვილი კურსისთვის, სტანდარტებთან შესაბამისი ტრენაჟორით/სიმულატორით;
- 4) სიმულატორები უნდა იყოს ლიცენზირებული;
